



10



მსოფლიოს გეოგრაფია

ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი



ზურაბ დავითაშვილი
ნოდარ ელიზბარაშვილი

მსოფლიოს გეოგრაფია

X პლასტ

მოსწავლის ციფრი





მსოფლიოს გეოგრაფია

X კლასი

ზურაბ დავითაშვილი
ნოდარ ელიზბარაშვილი

რედაქტორები: იამზე ეცეტაძე
პედაგოგიკის დოქტორი
დარეჯან ფალავა
პედაგოგი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ნუგზარ არჩემაშვილი

- © გამომცემლობა „კლიო“ 2012
- © გამომცემლობა „მერიდიანი“ 2012
- © გამომცემლობა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ 2012
- © ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, 2012
- ყველა უფლება დაცულია

Zurab Davitashvili

Nodar Elizbarashvili

WORLD GEOGRAPHY

10th Grade Textbook



გამომცემლობა „კლიო“

აღმაშენებლის გამზირი 181, თბილისი, 0112, საქართველო

ტელ.: (+995 32) 234 04 30

E-mail: book@klio.ge

www. klio. ge



გამომცემლობა „მერიდიანი“

ალ. ყაზბეგის გამზ. 47, თბილისი, 0112, საქართველო

ტელ.: (+995 32) 239 15 22



გამომცემლობა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“

ბაკურიანის 2, თბილისი, 0176, საქართველო

ტელ.: (+995 32) 240 92 40

ISBN 978-9941-415-97-5



შინაარსი

I ცატილი. გუვებრივი პირობების და რესუსების გეოგრაფია

1.1. მსოფლიო	5
1.2. გუვებრივი პირობები და გუვებრივი	
რესუსები	9
1.3. ლითონურობრივი და მიცერალური	
რესუსები	13
1.4. ატონურობრივი და კლიმატური	
რესუსები	17
1.5. პილონურობრივი და ფედის რესუსები	20
1.6. მსოფლიო ოკეანე და ოკეანე	
რესუსები	23
1.7. ბიონურობრივი და ბიონურებულის რესუსები	25
1.8. ნიაზაგები და მიზის რესუსები	29
1.9. გუვებრივი რესუსების გამოყენების	
პროგნოზები	33
1.10. გლობალური ეკოლოგიური	
პროგნოზები	36

II ცატილი. ისტორიული გეოგრაფია

2.1. ძველი მსოფლიოს ისტორიული	
გეოგრაფია	40
2.2. შუა საუკუნეების ისტორიული	
გეოგრაფია	44
2.3. აოლიტიკური რეგის ფორმირება	
დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების	
მარქასა და ადრეულ ახალ საცავი	49
2.4. ცელილებები აოლიტიკურ რეგის	
გვიანდელ ახალ საცავი	53
2.5. უახლესი პენინის აოლიტიკური	
რეგი (1918-1945 წ.წ.)	57
2.6. აოლიტიკური რეგი მარქა მსოფლიო	
ობის უევებები	60

III ცატილი. კოლიტიკური გეოგრაფია

3.1. თაცამადროვე კოლიტიკური რეგი.	
სახელმწიფოთა ტიკოლოგია	64
3.2. პილაკოლიტიკური კოროვახების	
გეოგრაფია	68
3.3 საერთაშორისო კოლიტიკური	
პროცესების გეოგრაფია	72
3.4. საერთაშორისო ორგანიზაციები	76
3.5. კოლიტიკურ-გეოგრაფიული	
მდგრადირება. გორკოლიტიკა	80

IV ცატილი. ეკონომიკური გეოგრაფია

4.1. მუნიციპალური მასადაცვულებები ..	84
4.2 სოფლის მუნიციპალური გეოგრაფია ..	88
4.3. მოპრეზებითი მრავალობა	93
4.4. დამუშავებითი მრავალობა	98
4.5. ტრანსპორტის გეოგრაფია	103

V ცატილი. მოსახლეობის გეოგრაფია

4.6. საერთაშორისო ეკონომიკური	
კავშირების გეოგრაფია	108
4.7. საერთაშორისო ტურიზმი	113
4.8 ეკონომიკური განვითარებისა და	
ცხოვრების ღონის გეოგრაფიული	
სურათი	117

V ცატილი. მოსახლეობის გეოგრაფია

5.1. მოსახლეობის ზონამიკა	122
5.2 მოსახლეობის სტრუქტურა	127
5.3. მიგრაციების გეოგრაფია	132
5.4. მოსახლეობის ტერიტორიული	
განლაგება. განსახლების ფორმები	137
5.5. ურბანიზაცია და ქალაქების	
გეოგრაფია	142
5.6 მოსახლეობის რასობრივი	
გეოგრაფია	147
5.7. მონიკური გეოგრაფია	152

VI. კულტურული და

სოციალური გეოგრაფია

6.1. მეგაცია და დამჭრულობების	
გეოგრაფია	157
6.2. რელიგიების გეოგრაფია	162
6.3. მატერიალური კულტურის	
გეოგრაფია	167
6.4. სულიერი კულტურის გეოგრაფია	172
6.5. განათლებისა და მეცნიერების	
გეოგრაფია	177
6.6. ჯანრობლობის დაცის გეოგრაფია	181

VII ცატილი. რეგიონული გეოგრაფია

7.1. მსოფლიოს რეგიონები:	
ზოგადი მიმოსილება	185
7.2. ჩრდილოეთი ამარიკა	189
7.3. დასავლეთი ამერიკა	194
7.4. ცენტრალური ევროპა	199
7.5. ჩრდილოეთი ევროპა	204
7.6. სამხრეთი ევროპა	209
7.7. სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა	214
7.8. რუსეთი და აღმოსავლეთი ევროპა	219
7.9. სამხრეთი კავკასია და	
ცენტრალური აზია	224
7.10. ახლო აღმოსავლეთი და	
ჩრდილოეთი აზია	229
7.11. სამხრეთი აზია	234
7.12. აღმოსავლეთი აზია	239
7.13. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია	244
7.14. აზტრიკალია და ოკეანეთი	249
7.15. ტროპიკული აზია	254
7.16. ლათინური ამერიკა	259



VII ნაზილი. რეგიონული გეოგრაფია

7.1. მსოფლიოს რეგიონები: ზოგადი მიმოხილვა

რეგიონებად დაყოფის ზოგადი პრინციპები

გეოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა გეოგრაფიული რეგიონების (რაიონების) გა-მოყოფაა ანუ დარაიონებაა. დარაიონებას სა-ფუძვლად უდევს პრინციპი, რომ გამოყოფილი რეგიონი ტერიტორიულად უწყებულია, ერთიანი მთლიანი ერთეული უნდა იყოს იმ ელემენტების მიხედვით, რომელიც დარაიონების კრი-ტერიტორიული იქნა აღებული და, ამავე დროს, განსხვავდებოდეს სხვა ტერიტორიებისგან. დარაიონება შეიძლება იყოს როგორც მარტი-ვი, ისე კომპლექსური. მარტივი დარაიონე-ბის დროს რეგიონის გამოყოფის კრიტერიუ-მად აღებულია ერთი კონკრეტული ელემენტი, კერძოდ, რომელიმე ფიზიკურ-გეოგრაფიული ან საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენა. შესაბამისად, დგინდება ამ მოვლენის გავრცე-ლების რაიონები. კომპლექსური დარაიონე-ბისას კი რაიონის გამოყოფის კრიტერიუმად რამდენიმე ელემენტი აირჩევა და მათს საფუძ-ველზე კომპლექსური რაიონები გამოიყოფა. კომპლექსური ფიზიკურ-გეოგრაფიული რა-იონის მაგალითია ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები, ხოლო საზოგადოებრივ-გეოგ-რაფიულისა – სოციალურ-ეკონომიკური ტე-რიტორიული სისტემები.

დედამიწის ტაქსონომიურად ყველაზე ზედა კომპლექსური რაიონები მსოფლიო ხმელეთი და მსოფლიო ოკეანება. მსოფლიო ხმელეთის დაყოფა მომდევნო ტაქსონომიური დონეების



ნახ. 7.12. ადმოსვლეთი კვროპა. უკრაინა

რეგიონებად კი უკვე განსხვავებულია, იმისდა მიხედვით, ფიზიკურ-გეოგრაფიულ კრიტერიუმებს ვიღებთ საფუძვლად თუ საზოგადოებრივ-გეოგრაფიულს. ფიზიკურ-გეოგრაფიუ-ლად მსოფლიო ხმელეთი იყოფა 6 კონტინენტად – ევროპია, აფრიკა, ჩრდილოეთი ამერიკა, სამხრეთი ამერიკა, ავსტრალია და ანტარქტი-და. საზოგადოებრივი გეოგრაფიის კუთხით კი უფრო მიღებულია ხმელეთის დაყოფა 6 ქვეყ-ნის ნაწილად: ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია-ოკეანეთი და ანტარქტიდა.

საზოგადოებრივ-გეოგრაფიული კრიტერიუმების მიხედვით ქვეყნის ნაწილების დაყოფამ მომდევნო ტაქსონომიური დონის რეგიონებად შეიძლება სულ სხვადასხვა სურათი მოგვცეს, იქიდან გამომდინარე, რომელ საზოგადოებრივ ელემენტებს ვაქცევთ ყურადღებას. ცხა-დია, პოლიტიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებად დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს პოლი-ტიკური კურსი, ორიენტაცია, პოლიტიკური კავშირები და როლი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რე-გიონების გამოყოფის ძირითადი კრიტერიუ-მი იქნება ეკონომიკური განვითარების დონე, მეურნეობის სტრუქტურა, საწარმოო კავში-რების ხასიათი და ა. შ. ისტორიულ-კულ-ტურული რეგიონების გამოყოფისას მთავარი ფურადღება ეთმობა კულტურის მსგავსება-განსხვავებას, რაც თავის მხრივ ისტორიული განვითარებისა და მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობით არის განპირო-ბებული. დაახლოებით იმავე კრიტერიუმებს ექიდნობა დარაიონება ცივილიზაციების მი-ხედვით, ოდონდ აქ განმსაზღვრელი ფაქტორი რელიგიაა.

მსოფლიოს დაყოფა დიდ რეგიონებად, სა-დაც გამოყოფის კრიტერიუმებში კომპლექსუ-



ნახ. 7.11. დასავლეთი კვროპა. საფრანგეთი



ნახ. 7.1.3. აღმოსავლეთი აზია. თაბანია

რად იქნება გათვალისწინებული ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისტორიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნოკულტურული და რელიგიურ-ცივილიზაციური ფაქტორები, საქმაოდ როცელი ამოცანაა. ამიტომ არის, რომ სხვადასხვა წიგნებსა თუ სახელმძღვანელოებში მსოფლიოს რეგიონებად დაყოფის სულ სხვადასხვა სქემებს ეხვდებით. წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყოფილია მსოფლიოს 15 მთავარი რეგიონი. რეგიონების გამოყოფის მირითადი კრიტერიუმი იყო ერთმანეთისგან განსხვავება, ხოლო თითოეული მათგანის შეგნით – მსგავსება ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების, ეკონომიკური მაჩვნებლების, ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების, მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობის, კულტურული და ცივილიზაციური კუთხით მიხედვით. ცხადია, ყველა კრიტერიუმის თანაბრად გათვალისწინება შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია, რომ რეგიონი ტერიტორიულად ერთიანი, უწყვეტი იყოს. ამის გამო ერთსა და იმავე გეოგრაფიულ რეგიონში შეიძლება ეკონომიკურად და კულტურულად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ქვეყნები მოხვდნენ.

კითხვები

- რა პრიონციპი უნდა იყოს დაცული დარაიონების დროს?
- რა განსხვავებაა მარტივ და კომპლექსურ დარაიონებას შორის?

დავალება

აირჩიეთ რომელიმე ქვეყნის ნაწილი (ეკროპა, აზია, აფრიკა ან ამერიკა) და სცადეთ მისი დარაიონება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ფაქტორების მიხედვით.

მსოფლიოს ძირითადი რეგიონები

წინამდებარე სახელმძღვანელოში მსოფლიოს 15 მთავარი რეგიონია გამოყოფილი:

1. ჩრდილოეთი ამერიკა. ცნება „ჩრდილოეთი ამერიკა“ ფიზიკურ-გეოგრაფიული და საზოგადოებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით სხვადასხვაგარია. ფიზიკურ-გეოგრაფიული მნიშვნელობით იგი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს აღნიშნავს და ცენტრალურ ამერიკასა და ვესტ-ინდოეთსაც მოიცავს, სამხრეთით კი პანამის ყელამდე ვრცელდება. საზოგადოებრივ-გეოგრაფიული (ისევე როგორც ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ეთნოკულტურული) თვალთანედვით ჩრდილოეთი ამერიკა იგივე ანგლოამერიკაა, რომელიც მხოლოდ ორ ქვეყანას – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას აერთიანებს. ამ საზღვრებშია წარმოდგენილი ეს რეგიონი ჩვენს სახელმძღვანელოშიც.

2. დასავლეთი ევროპა, როგორც რეგიონი, რამდენიმე მნიშვნელობით მოიაზრება. XX საუკუნის 50-80-იან წლებში ევროპის ყველა სოციალისტურ ქვეყანას აღმოსავლეთ ევროპას მიაკუთვნებდნენ, ხოლო ყველა კაპიტალისტურს – დასავლეთ ევროპას. არსებობდა დასავლეთ ევროპის სხვა გაგებაც, სადაც ამ ცნებაში დასავლეთი და ცენტრალური ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები იგულისხმებოდა, ჩრდილოეთ ევროპის (სკანდინავიის) და სამხრეთ ევროპის (ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, საბერძნეთი) გამოკლებით. წინამდებარე წიგნში დასავლეთი ევროპა განიხილება მისი ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც ამჟამად ვეველაზე უფრო მიღებულია და ბრიტანეთის კუნძულებს, საფრანგეთსა და ბენილუქსის ქვეყნებს აერთიანებს.



ნახ. 7.14. სამხრეთი აზია. ინდოელები



3. ცენტრალური ევროპა მოიცავს, ერთი მხრივ, ე.წ. გერმანულ ევროპას (გერმანია, შვეიცარია, ავსტრია), ხოლო მეორე მხრივ, ყოფილი სოციალისტური სამყაროს ნაწილს – დასავლეთსლავურ ქვეყნებსა (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი) და უნგრეთს. ერთ რეგიონში მათი გაერთიანება განპირობებულია როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ფაქტორების ერთობით ან მსგავსებით.

4. ჩრდილოეთი ევროპა, ტრადიციულად, სკანდინავიის სახელმწიფოებსა (ნორვეგია, შვედეთი, დანია, ფინეთი) და ისლანდიას გულისხმობდა. ამჟამად ჩრდილოეთ ევროპას მიაკუთვნებენ აგრეთვე ბალტიის ქვეენებს, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს: ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას. რეგიონის ქვეყნებს ბევრი საერთო აქვთ ისტორიული, ეთნოკულტურული და რელიგიური თვალსაზრისით.

5. სამხრეთი ევროპა ერთიანი გეოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული და ეთნოკუნიველური რეგიონია, რომლის შემადგენლობაში შედის პირინეისა და აპენინის ნახევარკუნძულების სახელმწიფოები – ესპანეთი, პორტუგალია და იტალია, აგრეთვე რამდენიმე მიკროსახელმწიფო.

6. სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა აერთიანებს ბალკანეთისა და აღრიატიკის სახელმწიფოებს (რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, ალბანეთი, ყოფილი ოუგრსლავიის ქვეენები), რომელთაგან ყველა (საბერძნეთის გარდა) სოციალისტური სახელმწიფოების ნაწილი იყო. მიუხედავად ლინგვისტური სხვაობისა (სლავური, რომანული, ბერძნული და ალბანური ენობრივი ჯგუფები), რეგიონის ხალხებისთვის დამახასიათებულია ისტორიული ბედის მსგავსება, ხოლო მათი

დიდი უმრავლესობისთვის – რელიგიურ-ცივილიზაციური (მართლმადიდებლობა) ერთობაც.

7. აღმოსავლეთი ევროპა და რუსეთი. აღმოსავლეთ ევროპაში ამჟამად გულისხმობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სლავურ ქვეყნებს – რუსეთს, უკრაინასა და ბელარუსს, აგრეთვე მოლდოვას. რუსეთის ცალკე გამოყოფა რეგიონის დასახელებაში განპირობებულია იმით, რომ აღმოსავლეთ ევროპის გარდა, იგი მოიცავს ჩრდილოეთ აზიასაც, რომელსაც ქვეყნის მთელი ფართობის თითქმის 3/4 უკავია. რეგიონისთვის დამახასიათებელია ეთნოკულტურული ერთობა (აღმოსავლეთ სლავები) და მართლმადიდებლური ცივილიზაცია, თუმცა სხვა ეთნოკუნიველური ჯგუფების წილი არცოუ მცირეა.

8. სამხრეთი კავკასია და ცენტრალური აზია ორი სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონია, რომელთაც ერთმანეთთან ცოტა რამ აქვთ საერთო და მათი გაერთიანება პირობითა (მით უფრო, რომ სამხრეთ კავკასიას ბევრი აღმოსავლეთ ევროპას მიაკუთვნებს). საკმაოდ სუსტია კავშირები როგორც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, ისე ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს შორისაც. ორივე რეგიონში ერთად სულ 8 სახელმწიფოა. ეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან პოლიტიკური ორიენტაციით, ეკონომიკის სტრუქტურით, განვითარების დონითა და ცივილიზაციური კუთვნილებით.

9. ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა სამხრეთ-დასავლეთ აზიას და აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილს აერთიანებს. ორი სხვადასხვა კონტინენტის ცალკეული ნაწილების ერთ რეგიონში გაერთიანება გამოწვევულია ისტორიული, ეკონომიკური, ეთნოკულტურული და რელიგიური ფაქტორებით (ისლამური ცივილიზაცია).

10. სამხრეთი აზია მოიცავს ინდოსტანის სუბკონტინენტს მიმდებარე ტერიტორიებითა და კუნძულებით. რეგიონის შემადგენლობაში 8 სახელმწიფოა, რომლებიც სამ სხვადასხვა ცივილიზაციას (ინდუისტური, ისლამური, ბულგარური) მიეკუთვნებიან. თუმცა ინდუიზმის დომინანტობა აშკარაა და სამხრეთი აზიაც, ძირითადად ინდოეთთან ასოციირდება.

11. აღმოსავლეთი აზია გამოკვეთილად ინდივიდუალური რეგიონია, რომლის როლიც მსოფლიოში განუხრელად იზრდება, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ხოლო იაპონია, ჩინეთი და სამხრეთი კორეა შეოფლიოს ყველაზე დინამიკურად განვითარებად ეკონომიკურ გიგანტებად მიიჩნევიან. ცივილიზაციურად, აღმოსავლეთი აზია



ნახ. 7.15. საფანები. ზომბაბვე. აფრიკა



ნახ. 7.16. ლათინური ამერიკა. ბრაზილიის სანაპირო

ბუდისტურ, დაოსისტურ-კონფუციანისტურ და სინტოისტურ სამყაროს მიეკუთვნება და მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

12. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ინდოჩინეთის ნახევარკუნძულისა და მალაის არქიპელაგის 11 სახელმწიფოს მრიცავს. რეგიონი პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური და კონფენსიური მრავალფეროვნებით გამოიჩინევა. ამავდროულად, ეს ინტენსიურად განვითარებადი რეგიონია, ხოლო რამდენიმე ე.წ. ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყანამ წარმოვანი პოზიციები დაიკავა მრეწველობის მთელ რიგ დარღებში.

13. ავსტრალია და ოკეანეთი, როგორც რეგიონი, ავსტრალიის კონტინენტსა და წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში გაფანტულ ათასობით კუნძულს (ოკეანეთს) აერთიანებს. მიუხედავად ცალკეულ ქავების შორის მკვეთრი კონომიკური და კულტურული განსხვავებებისა, ავსტრალია და ოკეანეთი ერთიან რეგიონს ქმნის და სხვა რეგიონებისგან გამორჩეული სახე აქვს.

14. ტროპიკული აფრიკა. ტროპიკული ანუ საკარის სამხრეთი (შავი) აფრიკა მკვეთრად ინდივიდუალური, ერთიანი რეგიონია და მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩრდილოეთ ანუ თეთრი აფრიკისგან. რეგიონის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ისტორიული ბედის, ეკონომიკური განვითარების, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების მსგავსება, ხოლო კულტურული ერთობა, მკვლევართა ნაწილის აზრით, სრულიად დამოუკიდებელ აფრიკულ ცივილიზაციას ქმნის.

15. ლათინური ამერიკა კოცელი გეოგრაფიული რეგიონია, რომელიც მრიცავს მთელ სამხრეთ ამერიკის კონტინენტსა და ჩრდილოეთ ამერიკის მნიშვნელოვან ნაწილს. ცივილიზაციურად ეს ერთიანი, მთლიანი სამყარო ესპანურ-პორტუგალიური და ადგილობრივ

ინდიელთა კულტურების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. ლათინური ამერიკის როლი მსოფლიოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მუდმივად იზრდება, ხოლო რეგიონის ზოგიერთი ქვეყანა წარმოების მოცულობით მსოფლიოს უმთავრეს სახელმწიფოებს შორის მოხვდა.

კითხვები

- რით არის განპირობებული ჩრდილოეთ ამერიკის ცნების განსხვავებული გაგება ფიზიკურ გეოგრაფიასა და სახეობადოებრივ გეოგრაფიაში?
- რამ გამოიწვია ჩრდილოეთ აფრიკის სუბრეგიონის მოწყვეტა დანარჩენი აფრიკასგან და მისი გაერთიანება სამხრეთ-დასავლეთ აზიასთან?

დავალება

შეადარეთ ერთმანეთს ტექსტში მოცემული რეგიონები, დაადგინეთ მსგავსებები და განსხვავებები მათ შორის და ამის საფუძველზე დააჯგუფეთ ისინი უფრო დიდ რეგიონებად.

ეს საინტერესოა:

- მსოფლიოს რეგიონები მკვეთრად განსხვავდებან ერთმანეთისგან ტერიტორიის სიდიდით, მოსახლეობის რაოდენობით, პოლიტიკური მნიშვნელობით, ეკონომიკური განვითარებით, კულტურული გავლენით და სხვ. რეგიონების გამოყოფისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა როლს თამაშობს იგი მსოფლიოში. ეკროპა ყველაზე პატარა ქვეყნის ნაწილია (თუ ავსტრალიას არ ჩავთვლით), მაგრამ იგი მსოფლიოს დიდ რეგიონებად დაყოფის ნებისმიერ სქემაში 4-6 ცალკე რეგიონად არის წარმოდგენილი. ამის საპირისპიროდ, აფრიკის რეგიონები, როგორც წევი, ევროპის რეგიონებს დონით ვერ უთანაბრდება და მთელი აფრიკა ერთი ან ორი რეგიონის სახით განიხილება.



მიწის რესურსების თვალსაზრისით. იგი უმდიდრესი ქვეყანაა მინერალური (განსაკუთრებით ლითონური) ნედლეულის სახეობებითა და მარაგით. კერძოდ, ბრაზილია მსოფლიოში უდიდეს რკინის მაღნის, აგრეთვე მარგანეცის, ქრომიტის, ნიკელის, ტიტანის, ტუფია-თუთისა და სპილენდის მნიშვნელოვან საბადოებს ფლობს.

მოსახლეობა. ბრაზილიელი ერის ფორმირება მოხდა ევროპელების (მეტწილად პორტუგალიელების), აფრიკიდან შემოყვანილი შავკანიანებისა და ადგილობრივი ინდიელი მოსახლეობის შერევის შედეგად. ქვეყნის მკიდრი ინდიელი მოსახლეობა, რომლებსაც ასიმილაცია არ განუცდიათ (დაახლოებით 1,5 მლნ. კაცი), დღეს ამაზონის ჯუნგლებშია გაფანტული. ქვეყნა გამოირჩევა მოსახლეობის ძალიან სწრაფი ზრდის ტემპით. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი თავმოყრილია ატლანტის ოკეანის ვიწრო სანაპირო ზოლში, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 7% უკავია. ურბანიზაციის დონე ბრაზილიაში 75%-ს აღემატება. ქვეყნისა და მთლიანად სამხრეთ ამერიკის უდიდესი ქალაქია სან-პაულუ (11,6 მლნ. კაცი). სხვა დიდი აგლომერაციებიდან აღსანიშვნია რიო-დე-ჟანეირო (6,2 მლნ. კაცი), სალვადორი, რესიფი, ბელუ-ორიზონტი, პორტუ-ალეგრი და დედაქალაქი ბრაზილია.

ეკონომიკა. ბრაზილია ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა. ერთობლივი შიდა პროდუქტის მთლიანი მოცულობით იგი მსოფლიოს სახელმწიფოებში 2010 წლის მონაცემებით მეშვიდე ადგილზე იყო. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება დამუშავებითი მრეწველობის დარგები – მანქანათმშენებლობა (სავტომობილო, საავია-

ციო, გემთმშენებლობა, ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა), მეტალურგია, ქიმიური, ხელფის და მსუბუქი მრეწველობა. შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს სათბობის (ნავთობი, ქვანახშირი) მრეწველობას. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგს წარმოადგენს მიწათმოქმედება. ბრაზილია ყავის, კაკაოს, ბამბის, შაქრის ლერწმის, სოიას, კაუჩუკის, ბანანისა და ფორთოხლის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი და ექსპორტიორია მსოფლიოში. მთავარი მარცვლეული კულტურაა სიმინდი. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის 2/5 მოდის მეცხოველეობაზე (უმეტესად მესაქონლეობასა და მეღორეობაზე). ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგებია საზღვაო ტრანსპორტი და უცხოური ტურიზმი.

რაიონები. ბრაზილიაში გამოყოფენ 5 ეკონომიკურ რაიონს, ესენია: 1. სამხრეთ-აღმოსავლეთი; 2. სამხრეთი; 3. ჩრდილო-აღმოსავლეთი; 4. ცენტრალური დასავლეთი; 5. ჩრდილოეთი ანუ ამაზონია.

კითხვები

- რა თავისებურებებით ხასიათდება ბრაზილიელი ერის ფორმირების პროცესი?
- რა ფაქტორებმა განაპირობა ბრაზილიის მეურნეობის სტრუქტურა?

დავალება

შეადარეთ ბრაზილიის ეკონომიკური რაიონები ერთმანეთს და განსახლებრეთ მათი ეკონომიკური განვითარების შესაძლო პერსპექტივები.

ეს საინტერესოა:

ლათინური ამერიკის (კერძოდ, მექსიკის და ანდების ქვეყნების) განსახლებისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა მოსახლეობის თავმოყრა მაღალმითან ზეგნებსა და პლატოებზე. მსოფლიოს უდიდესი ქალაქი მეხიკო ზღვის დონიდან 2300 მეტრზე მდებარეობს (უფრო მაღლა, ვიღრე სვანეთის სოფელი უშგული, რომელიც კერძოის კერძოზე მაღალ დასახლებად ითვლება). ბოლივიის დედაქალაქი ლა-პასი (ესპანურად მშვიდობა) კი ზღვის დონიდან საოცარ სიმაღლეზე – 3200-4100 მეტრზე მდებარეობს. ეს ერთადერთი მილიონიანი ქალაქია, რომელიც ამ სიმაღლეზე წარმოიშვა. აქ პაერი იმდენად გაიშვიათებულია, რომ პარკელად მოხვედრილი ადამიანი თავს ცედად გრძნობს. უანგბადის ნაკლებობა ცეცხლის გავრცელებას ხელს უშლის, რის გამოც ლა-პასი სახანძოო დაცვის სამსახურის არსებობის საჭიროება არ არის.

